საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

08/07/2025

MES 8 25 0000912662

# გადაწყვეტილება

## სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის"ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

### 1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ $27^2$-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების $27^5$ - ემუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^5$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^6$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ $27^5$-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ $27^6$-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც

„ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების $27^5$ - ე მუხლის მე-$7^1$ პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

**2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება**

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 15 ოქტომბრის №1326075 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების **„კომპიუტერული ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

აკრედიტაციის საბჭომ 1.3 კომპონენტში ამოიღო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, რომ პროგრამამ გადახედოს საბაკალავრო პროექტის სილაბუსს, რათა მოიცვას პროგრამის შედეგი 4 (ეთიკა) ან ამ შედეგის შეფასებისთვის სხვა კურს(ებ)ი შეარჩიოს.“ გარდა ამისა, საბჭომ შეცვალა რეკომენდაცია 1.5 კომპონენტში და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „რეკომენდებულია, რომ პროგრამამ დაამატოს „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის საკითხები.“

**3. სარეზოლუციო ნაწილი**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

**გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „კომპიუტერული ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 24 ივნისამდე.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა **„კომპიუტერული ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 08 ივლისის სხდომის №851523 ოქმის № 04 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, პროგრამის პირველი სწავლის შედეგი აღებული იყოს ABET-ის კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამების კრიტერიუმებიდან, რადგან ამჟამად ის აღებულია ABET-ის გამოყენებითი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების კრიტერიუმებიდან, რაც არ მიესადაგება კომპიუტერული ინჟინერიის დარგს; ABET-ის კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამების კრიტერიუმებში სწავლის შედეგი ასეა ფორმულირებული: „შეუძლია ამოიცნოს, ჩამოაყალიბოს და გადაჭრას რთული საინჟინრო პრობლემები ინჟინერიის, მეცნიერებისა და მათემატიკის პრინციპების გამოყენებით." რეკომენდებულია, რომ პროგრამის პირველი სწავლის შედეგი სწორედ ამით ჩანაცვლდეს - „შეუძლია ამოიცნოს, ჩამოაყალიბოს და გადაჭრას რთული საინჟინრო პრობლემები ინჟინერიის, მეცნიერებისა და მათემატიკის პრინციპების გამოყენებით." (წყარო: https://www.abet.org/accreditation/accreditationcriteria/criteria -for-accrediting-engineering-programs-2025-2026/). რეკომენდებულია, რომ პროგრამის პირველი სწავლის შედეგი ხელახლა ჩამოყალიბდეს ზემოთხსენებული ფორმით, რათა შეესაბამებოდეს სწავლის სფეროს.
- რეკომენდებულია, რომ პროგრამამ გადახედოს შეფასებისთვის შერჩეული კურსების სილაბუსებს, რომ მათ მოიცვას პროგრამის სწავლის შედეგი;
- რეკომენდებულია, რომ პროგრამამ გადახედოს საბაკალავრო პროექტის რუბრიკას, რომ იგი შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს.
- რეკომენდებულია, რომ პროგრამამ დაამატოს „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის საკითხები".
- რეკომენდებულია, „მონაცემთა ბაზების დაპროექტებისა" და „ვებ-საიტის შექმნა და მართვა" საგნების სახელწოდების ან შინაარსის შეცვლა.
- რეკომენდებულია განახლდეს დარგობრივი სახელმძღვანელოები.
- რეკომენდებულია, ყველა წიგნი და სახელმძღვანელო სტუდენტებს მიეწოდოს ინგლისურ ენაზე.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 24 ივნისიდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 24 ივნისი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1]მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული

გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
წევრი
ადეიშვილი ვლადიმერი

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე